



ნაღის მარხის წინამძღომელმა თ. რევაზ მანძემ (დიდი რევაზ) საფუძვლიანად სთქვა, რომ, ჩემის აზრით, ის ემჯობინება, რომ არაინ არ გამოერიცხოს ამ გარდასახადსაგან, რადგან ხუთი თუმენის გადახდა სამის-ოთხის წლის განმავლობაში მაინც და-მაინც ძალიან არაინ არ გაუჭირდება და თუ ერთმა შეიტანა ფული და მეორემ არა, აქედამ შეიძლება ერთმანეთ შორის საყვედური და უსიამოვნება მოხდეს, შეიძლება ერთმა დააყვედროს მეორეს, რომ შენი შეილი ჩემის ფულით იზრდება და სხვ.

ბოლოს კრებამ მიიღო შემდეგი განაჩენი: საზოგადო კრება ერთ-ხმით გარდაწყვეტილებით ჰკისრულობს სასკოლო ვალდებულებით გადასახადს; მთელი თავდაზნაურობა ხუთ კატეგორიად იყოფა; ყველაზე მომეტებული (maximum) გადასახადი არის ორმოცი თუმანი, ყველაზე ნაკლები (minimum) ხუთი თუმანი. თავდაზნაურობის სხვა-და-სხვა კატეგორიებში ჩაწერა მარხების კამისას მიენდოს რომელმანც სამის თვის განმავლობაში გაათავოს ეს საქმე და შემდეგ გუბერნიის მარშალმა წარადგინოს საცა რიგია.

შემდეგ მარხის მარხის თავდაზნაურობა წინადადებებზე ჩამოვარდა სჯა. პირველად წაიკითხეს ის წინადადება, რომლითაც ხსენებულ მარხის თავდაზნაურობა თხოულობდა, უმაღლესის მთავრობის წინაშე ვიშუამდგომლობათო ჩვენს სასწავლებლებში ქართულენის სწავლების გაძლიერება: პირველდაწყებით სასოფლო სასწავლებლებში მარტო ქართულს ენაზედ იყოს სწავლა, რუსულს ნუ ასწავლიან, რადგან ეს სავნების სწავლასაც ხელს უშლის და ვერც რუსულს სწავლო-

თითქო იმას ცუდი რამ ექნას პატივცემულის მოქალაქებისთვის. თითქმის ერთ-ხმად იძახდნენ:

„— მს პირადობის საქმეაო! საჩქაროთ დაამტკიცეთ ანგარიშიო, თორემ ამ რევიზიამაც ზარალი მოგვცაო და რომ კიდევ გაჩერდეს ანგარიშის დამტკიცებაო, უფრო დიდ ზარალს ენახეთო! შურში ხომ არის ფულე-ბიო და წიგნების უქონლობა რა არისო და ან ანგარიშიში ცოტა შეცდომებს რა მნიშვნელობა აქვს და სხვ!..“

ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა ვაჭარმა შემდეგის სიტყვებით ამართლა ბანკის გამგეობა:

„— რა დიდი საქმეა წიგნებში შეცდომა! მსთქვით, შაქარი გავყიდე, ჩაიში ჩაწურეო, ჩაი გავყიდე, შაქარში ჩაწურეო,—განა სულ ერთი არ არის, განა სულ ჩემ დახლში არ ჩავარდება ის ფულეობა?“!

მაგრამ ამ დალოცვილებმა ის კი აღარ იფიქრეს, თუ რადგან სარევიზიო კომისიას არ მოუყვანია ცნობაში დოკუმენტები, ვექსილები და კასსა და უკანასკნელი არ შეუსწორებია დღიურ წიგნებთან, მაშა სადამე

ბენო; საეჭო და საქალეზო გიმნაზიებში, პროგიმნაზიებში, სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიაში, სა-ოსტატო ინსტიტუტებში და აგრეთვე საზოგადო ყველა საშუალო სასწავლებლებში ქართველ მაგისტრებისათვის დანიშნული იყოს შტატის მასწავლებელი ქართულის ენის, ლიტერატურის და ისტორიისათვის და ამ მასწავლებელს ყველა ის უფლება და უპირატესობა მიენიჭოს, რაც რუსულენის მასწავლებელსა აქვს; ამავე სასწავლებლების მოსამზადებელ კლასებთან გაიხსნას პარალელური ქართული განყოფილება ქართველ მოსწავლეთათვის; კლასიკურ გიმნაზიაში ბერძნული ენის სწავლება სრულებით მოიხსოსო და სხვ.

(გაგრძელება)

დღიური

ქრების გათავების შემდეგ ტფილისის გუბ. თავდაზნაურობა წინამძღოლმა გამოუცხადა კრებას, რომ ეს არის იმას მოუვიდა ტელეგრაფით ამბავი, რომ თ. მ. ს. მოროზცოვის შეილი თ. ს. მ. მოროზცოვი გარდაცვლილა და რადგან ამ ოჯახის პატივისცემა ქართველებს გემართება, ამიტომ გთხოვთ, ხელო პირველ საათზე მობრძანდეთ სოხის სობოროში, სადაც პანაშვიდს გადაიხდინანხლად მიცვალებულზედა.

ხელო, ორშაბათს, საღამოს 7-ს საათზე საზოგადო ბიბლიოთეკის ზღაში იქნება სხდომა ძველი ბუნების მეცნიერთა მოყვარეებისა, და აღზის საზოგადოებისა, რომლის თავმჯდომარეობა იწვება ღ. მ. ნიკოლოზ მიხეილის-ძემ. ამ სხდომაზე ბ. სმირონოვი იტყვის სიტყვას ახლად მიცვა-

არც იმის თქმა შეიძლება, თუ ისინი რიგზედ არიან და არც იმის თქმა შეიძლება, თუ ისინი რიგზედ არ არიან.

რადგანაც სარევიზიო კომისიამ სთქვა, რომ ზოგიერთი წიგნები სულ არ ვარგაო და იმათში კაცი ვერას გაიგებსო, ზოგიერთებმა მოითხოვა გამგეობისაგან წიგნების წარმოდგენა, სანახადა. იმათ წარმოდგენაზე ადგილი რა უნდა ყოფილიყო, თუ კი მართლა ის წიგნები არსებობდნენ და ვარგოდნენ. მაგრამ როგორ გგონიათ,—ამ თხოვნას კენჭი უყარეს! ძრება წიგნების წარმოდგენლობა და ამ საგნის სიბნელეში და ეჭვს ქვეშ დარჩენა აჯობინა: წიგნების წარმოდგენა გააშვა. ამ გარემოებით ისე გამწარდა ერთი საზოგადოების წევრი, ბ. ღ. ლორთქიფანიძე, რომ დივირა:

„— სულით მოვითხოვე წიგნების წარმოდგენას!

ზარდა იმისა, რომ თ. შალავას მადლობა არ უთხრეს იმისათვის მაინც, რაც დაანახა საზოგადო კრებას, ამ პატივცემულმა კრებამ ერთიც არ უთხრა გამგეობას, ანუ რჩევას, რომ

ლებულის გამოჩენილ მეცნიერის ღარენის ცხოვრებასა და თხზულებებზედ.

ზარეშე პირთაც შეუძლიანთ მისე-ლა.

ღეს, კვირას, პარწრუნის თეატრში დანიშნულია ოპერის მომღერალისა და არტისტის ბ. შ. მორიძის კონცერტი, რომელზედაც მოკანცერტე სხვათა შორის ქართულ სიმღერებს იმღერებს და ერთს სომხურსაც უნი ქალაქ. ქართული სიმღერები, როგორც ამას წინათაც მოვიხსენეთ, თერთონ ბ. მორიძისაგან არის ნოტებზე დაწყობილი ფორტეფიანოსა, ფლეიტისა და ჭიანჭურის აკომპანიმენტით სამღერლად.

მონცერტის აფიშა ძალიან საინტერესოა; მაგრამ, სხვა არა იყოს-რა, ჩვენი საზოგადოება მარტო იმისთვის არის მოვალე თანაგრძნობა და მადლობა გამოუცხადოს ბ. მორიძეს, რომ ჯერჯერობით თითქმის მარტო ეს ერთი ქართველი კაცი გამოვიჩინდა, რომლის შემწეობითაც მთელ ქვეყანას შეუძლიან გაიცნოს ქართული ნაციონალური სიმღერის კილო და ხმები.

მზურგეთიდან გვწერენ, რომ ამ მოკლე ხანში იქაური სცენის მოყვარენი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ ქართულ წარმოდგენის გამართვას აპირებენო.

რამდენიმე ახალი ამბავი ჩვენი მწიგნობრობის შესახებ:

ამ დღეებში გამოვიდა შემდეგი პატარა წიგნები: ქართული ანბანი—მეორე გამოცემა, პრინსას ლექსი—მეათე გამოცემა. მორივე წიგნები გამოცემული ბ. ბ. ღრეჩისა და პრს.

მომავალში მაინც ნუ იქნება ამისთანა უწყესობაო! მართაც ვერ იფიქრა კრებამ, რომ ჯერ წიგნები უნდა იყოს რაგზეო და მერმე ანგარიშის შედგენა შეიძლებაო!

შოველი კაცი, ვისაც კი სურს, რომ ჩვენ მოქალაქეებს ჰქონდეს კეთილი აწმყო და ბრწყინვალე მომავალი, უსათუოთ შეწუხდებოდა გუშინ იმათი მოქმედების დანახვით: ისინი თითქო შეგონებული იყვნენ წინ-და-წინ, რომ ყველას, საქმის მოუსმენლათ, ეყვირა: „ყოლიფერი კარგათ არის! მს სულ მტერობითაა! საჩქაროთ დაამტკიცეთ ანგარიშიო“. რამდენიმე ვაჭრებმა დააპირეს, რომ „ურა“ დედახნათ ერთ-ხმად, რომ დაამტკიცეთო...

ერთმა გამგეობის წევრმა, თ. ძირილე ლორთქიფანიძემ სულ გავაკვირვა: ის ამტკიცებდა, რომ არც ბუნებალტერის ხელის-მოწერაა საჭირო ანგარიშზედო და არც გამგეობის წევრებისო! ჩემის აზრით, ეს ნამეტანი სასტიკად მოქცევა არის ჩვენ გულკეთილ მოქალაქეებთან. მაქო გული მაინც დაუშვიდეთ იმათ თქვენის ხელის მოწერით! აფიქრებინეთ მაინც

ძალანდარისაგან. იბეჭდება ამ წიგნში და მალე გამოვა. მარხის მარხის წინამძღომელმა თ. რევაზ მანძემ (დიდი რევაზ) საფუძვლიანად სთქვა, რომ, ჩემის აზრით, ის ემჯობინება, რომ არაინ არ გამოერიცხოს ამ გარდასახადსაგან, რადგან ხუთი თუმენის გადახდა სამის-ოთხის წლის განმავლობაში მაინც და-მაინც ძალიან არაინ არ გაუჭირდება და თუ ერთმა შეიტანა ფული და მეორემ არა, აქედამ შეიძლება ერთმანეთ შორის საყვედური და უსიამოვნება მოხდეს, შეიძლება ერთმა დააყვედროს მეორეს, რომ შენი შეილი ჩემის ფულით იზრდება და სხვ.

ამ დღეებში ძველსაის სამეურნეო საზოგადოებაში რამდენჯერმე იყო კერძო შეკრებილება, რომელზედაც ზოგიერთი ქართველი თავდაზნაურობებიც დასწრებიან და ჰქონიათ სჯამაზედ—თუ რა გვარი სამეურნეო სასწავლებელი უფრო საჭიროა აქამდ ჩვენის ქვეყნისათვის. უკანასკნელი სხდომა ამ საგნის შესახებ საბოლოოდ მოსალაპარაკებლად და დასაწყვეტლად, როგორც გვითხრეს, მომავალ სამშაბათს, საღამოს იქნება სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნები გაზეთში დასაბეჭდათ:

ჩვენშიაც და სხვაგანაც მე მგონია (სადაც კი ეს წესი სუფევს), თუ ვისმეს ჩაუვარდება ხელში მარშალი ამ თანამდებობის დაკარგვა მისთვის მეტად ძნელია და, ვინ იცის, ეს ბატონები ხშირად რა ხრიკებს არ უყენებენ იმათ, ვინც კი გაბედულად მათ მეტოქეთ გამოჩნდებიან! მართლაც ძნელია დათმობა ადვილად თავდაზნაურობა წარმომადგენლობის თუნდაც ეს წარმომადგენელი კარგად გრძნობდეს მასზედ სხვის უპირატესობას ამ შემთხვევაში.

ამ წაირად ჩვენში ხშირად ბევრ საზოგადო საქმეები ხდება.

ნამდვილად შევიტყე, რომ ორ მარხის თავდაზნაურობა წარმომადგენელს შეუმჩნეველი ერთი ყმაწვილი კაცისათვის, რომ მითომ ის აპრობდეს წელს იმათ წინააღმდეგ გამოცვლას და ან ერთსა და ან მეორე მარ-

არის იმათ, რომ ვინცოცაა რამე თათარაკა მოხდეს, პასუხის მგებლობა პირნი ხელში ჰყავთ. შესახებ ორდერებისა, იმავე თ. ძირილემ გავაგონა, რომ ორდერების ხელის მოწერა რა საჭიროაო, განსაკუთრებით იმათგანო, ვინც საიმედო პირნი არიანო. ნება თქვენი იყოს და დიდებულ იყოს სულ-გრძობლება თქვენი, მაგრამ ჩვენ მძიმე დროში, როდესაც ძრიელ გეპირს გაგება—თუ ვინ არის საიმედო კაცი, ჩვენს დროში, როდესაც ბოლტესავით ვკითხვით ერთი მეორეს: რასს ჰქვამდაცემა?—შეიძლება ამისთანა დროში, გკითხვით თქვენ, ან მოქცევა? ზარდა ამისა, ესთქვით, თუ გინდა, რომ რომელიმე პატიოსანი კაცი შემოვიდა თქვენ ბანკში, გმოიტანა ფული და, რადგანაც პატიოსანია, თქვენ ხელი არ მოაწერეთ ორდერზე. ბანა არ შეიძლება რომ მოკვდეს ის კაცი, სანამ თქვენ ანგარიშს გავისწორებდესთ? იქნება თქვობდეთ, რომ საიმედო მემკვიდრეებიც დაგრჩებათ იმისაგან? მარტო თუ საჭირო არ არის, რათ გინდათ? წიგნები თუ საჭირო არ იყოს რათ დაუწყეთ შედგენა იმათ, რომ

თავად-აზნაურთა წინამძღოლობა-  
კენჭის-ყრას.  
დაფარულად დღევანდელი წა-  
მაღლებლები და დაუწყიათ სჯა-  
როგორ მოიშორონ ეს მეტოქე-  
ფიქრის შემდეგ გარდაუწყვე-  
თ, რომ ამა-და-ამ კაცს სრული  
ზი არა აქვს და ამისათვის თავად-  
აზნაურთა კენჭის-ყრაში ხმა არ ექ-

საკვირვებელია ჭეშმარიტად, რომ  
აზნაურის შათის, მოქმედების გამოაშ-  
კარების არ ეშინათ! მინც არ  
კარგი, ესტკვით დაუჯერებს,  
რამ ვინც იციან იმათ სად-ლა წაუფ-  
ლენ?

სოფ. მარტყოფილამ გვეწერენ:  
ამასწინად თქვენს გაზეთში შენი-  
შება დაბეჭდილი იყო მარტყოფილამ.  
დავით გახარა ჩვენი მარტყოფის სა-  
ზოგადოება ამ შენიშვნამ, ასე რომ  
სულ იძახინა: ნეტა ვინ გამოჩნდა  
ესეთი მადლიანი, რომ ჩვენი გარე-  
გება ქვეყანას შეატყობინაო, და იქ-  
ნა მართლა ისეთი მადლიანი გა-  
მოჩნდეს ვინმეო, რომ მთავრობის  
წინ იშუამდგომლოსა და გამოგვი-  
ბროსო ტყე.

ახლა ამასაც მოგახსენებთ, რომ  
ტყე არის იმისი სასარგებლო,  
რაც ჩვენი სოფლილამ ყარაულები  
ყოფილი ესე იგი „აბესჩიკები“. ამ  
ოქმიანებისათვის ორი წელიწადია  
ჯანგირი არ მიუციათ სოფლებს,  
და თავს არ ანებებენ. რათა? ღა იმი-  
ტომ რომ დღით სარგებლობენ: ვინც  
მთა ქრთამს მისცემს გლეხთაგანი, იმას  
გადაატანინებენ ტყილამ რაც უნდათ  
და ვინც არა, და იმისთვის კი ტყე-  
შეკრულია: ამაზე ხალხიც ამას ამბობს:  
შეკრული იყვეს, თუ არა და ეს რა

თ. შალავას წყალობით დანიშ-  
ნებულმა სარევიზიო კომისიამ პროტო-  
კოლი შეგიდგინათ, რომ წიგნები არ  
არისო?

აი რა დავინახე და გავიგონე გუ-  
ნადელ კრებაში.  
მაგრამ, მოითმინეთ, კიდევ ვამხ-  
ნებ და რაღაცები. მართი რომ, სამწუ-  
სოდ ჩვენ და, და სასასირცხოდ იმათ-  
თვის, ზოგიერთებმა დაიწყეს ყვირილი,  
რამ თ. შალავა საადგილ-მამულო  
ქმნი მსახურობსო და იმიტომ სი-  
უფო არ სურს ჩვენი ბანკისათვისო!  
მთქმის იმ ბანკის სტაროეებიც კი  
შეუბნებინ ჩვენი ბანკის „სტაროეებ-  
თა“

აი უმეცრება და გონების სიბნელო,  
მეორეთული ზნეობის ურცხოებას-  
თა! მართი რომ ამ გვარი ბანკების  
მთავრობის მიტრობა ვინ გაიგონა!  
ვერ ვამიგია—რა ნაირი ინტერე-  
სია იმათ შორის იმისთანა, რომ ესენი  
სტყოს კაცმა!—პირიქით, განა ეს  
ბანკები სასარგებლო არ არიან ერთ-  
მისათვის? ბანა სასარგებლო არ  
არის სურთიერთო კრედიტისათვის,  
რამ საადგილ-მამულო ბანკს წელი-  
წებში რამოდენიმე ასი ათასი მანეთი

ამბაგია, რომ ვისაც ვგენი სწყალო-  
ბენ, იმას კი გამოაქვთ ტყიდგან და  
ვისაც არა, იმისთვის კი შეკრუ-  
ლიაო“.

„დროშის“ კორრესპონდენცია

გზირილამ, 30 აპრილს. ამ ხუთი  
თუ ექვსი წლის წინად ოზურგეთში  
განზრახვა ჰქონიათ საქალბო სასწავ-  
ლებლის განხრისა და კიდევაც მოუ-  
კრფითათ საზოგადოებაში ფული ამ  
საგნისთვის. მაგრამ, სამწუხაროდ,  
ჯერ-ჯერობით არავითარი სასწავლე-  
ბელი ქალებისთვის არ განხრილა.

ამ საქმის თაობაზედ მაშინვე შემ-  
დგარა კომიტეტი, რომლის წევრებათ  
ყოფილან და არიან ეხლაც ზოგიერ-  
თა წარჩინებული კნენები და ვაჭარ-  
თაგანნი. ამ კომიტეტს 1000 მანეთი  
გადაუტია შესანახათ ახლანდელ მაზ-  
რის უფროსისთვის, თ. ღადიანისთვის  
და შეიდასი მანეთი კი, საქალბო  
სასწავლებლისთვისვე მოგროვილი, წი-  
ნანდელ მაზრის უფროსს ბ. მანრა-  
მოვს ჰქონია მიბარებული.

მაგრამ არც იმ მოგროვილ ფუ-  
ლებს მისცემია თავის დანიშნულება  
და არც კომიტეტს გაუკეთებია—რა ამ  
საგნის შესახებ. მასაკვირვებელია, რომ  
ამდენ ხანს ან ის კომიტეტი რასა  
ჰფიქრობს და ან რატომ საზოგადოე-  
ბა არ მოჰკითხავს მას იმ ფულის ან-  
გარიშს? რადგანაც ბევრჯელ და ბევრ-  
გან მომხდარა ამ ნაირი ფულების გა-  
დავიწყება და კერძო პირებისგან გა-  
ქარწყლება, ამისათვის საშიშო არის,  
რომ ის 1700 მანეთიც ტყუილ-  
უბრალოდ არ გაიფლანგოს და საქა-  
ლებო სასწავლებელი დავიწყებას არ  
მიეცეს.

შრიგო არ იქნებოდა, რომ საზო-  
გადოება მოიკითხავდეს თავის ფუ-

გადმოაქვს პეტერბურლიდამ შუთაის-  
ში? ბანა სასარგებლო არ არის სად-  
გილ-მამულო ბანკისათვის, რომ სა-  
ურთიერთო კრედიტი შემწობას აძ-  
ლევს მცხოვრებლებს, რომელთაც  
თავის ადგილ-მამულო აქვთ დაგირა-  
ვებული, შეიტანონ თავ-თავის დრო-  
ზე საადგილ-მამულო ბანკში სესხის  
ფულები?

მეორე ის ვამხსენდა კიდევ, რომ  
ბ. ნაზაროვმა, ალბათ, უფრო რომ  
აღელვებებია კრება თ. შალავას წინა-  
აღმდეგ, სტქვა, რომ შალავამ ხმები  
დაჰყარაო, რომ რამოდენიმე ათასი  
მანეთი აღარ არის ჩვენს ბანკშიო.  
მაგრამ ეს რომ გამოგონილია და შა-  
ლავას მაგისტანა არა უთქვამს—რა, ერ-  
თი იქილამ სჩანს, რომ ბ. ნაზაროვი  
იქვე გაამტყუნა და ჩალავამ ბ. მასილ  
აბულაძემ ერთი კაცის პირში წაყე-  
ნებით, და მეორე იქილამ სჩანს, რომ  
თითონ ფაღავა აცხადებდა კრებაში,  
რომ დოკუმენტები, ვექსილები, ზო-  
გიერთი წიგნები და კასა არ დამი-  
მოწმებიაო და რა მდგომარეობაშია  
არ ვიცოო; მაშასადამე რა ნაირად  
დაჰყარდა ხმებს, რომ ფულები აღარ  
არისო!

ლბს და ხელ-მეორედ ამოიჩვენეს  
ახლ კომიტეტს წერებსა, რომ ღელ-  
თც მიანდოს საქალბო სასწავლებ-  
ლის საქმე და მაზედ მზრუნველობა.

ბევრთან მქონია ამ საგანზედ ბაძი  
და ყველანი სულ თანაგონობას  
აცხადებენ საქალბო სასწავლებლის  
გახსნაზედ, თუმცა კი ყველას პასუხი  
ის არის, რომ აღრეც კი მოჰკრიფეს  
ფულიო, მაგრამ ჩვენი შეილები კი  
უსწავლელათ გეისხედან შინაო. მა-  
ლაქის საზოგადოება ეხლაც მზად არის  
მისცეს საშუალება საქალბო სასწავ-  
ლებელს, თუ აღმოჩნდებიან იმისთანა  
პირნი, რომელნიც ითავებენ ამ საქ-  
მეს და აღრინდელ ვალს ერთად შეჰ-  
კრებენ.

მართლა და ან საზოგადოებამ რა  
ჰქნას, როდესაც საზოგადო საქმის  
თაობას კისრულობენ ზოგიერთი  
მხოლოდ სასახლოდ და არა სასარ-  
გებლოდ. სამწუხაროდ, კიდევაც ამის-  
თვის ხდება ხოლმე, რომ რაც უნდა  
მცირედი და ადვილად შესასრულებე-  
ლი საზოგადო საქმე იყვეს, თუ და-  
ვიწყებას არ მიეცა, ძლივ-ძლივობით  
მოდის სისრულეში რამდენიმე წლო-  
ბით და არა თვეობით. მაგონი ყვე-  
ლასთვის ცხადი უნდა იყვეს, რომ  
ვინც კი ხელს მოჰკიდებს საზოგადოე-  
ბისაგან მინდობილ საქმეს, ზნეობით  
მოვალე ხდება, რომ თავის მხრით, რაც  
კი შესაძლო იქნება, ყოველივე ღო-  
ნის-ძიება იხმაროს და მოიყვანოს არ-  
სებაში ეს საქმე; წინააღმდეგ შემთხვე-  
ვაში ყველა ამ ნაირი პირნი საზოგა-  
დოების წინაშე პასუხის-მგებელი  
ხდებიან, რადგანაც მის კეთილ-გან-  
ზრახულებას და სურვილს საზოგადო  
საქმისადმი ბოლოს უდებენ და მის  
მაგიერად სიძულვილს და უნდობლო-  
ბას ჰბადებენ. ეს საზოგადო კანონია  
და შეეხება ყველა იმ პირთ, რომელ-

მთავეს ჩემ შენიშვნას შესახებ მ  
მისის კრებისა. შეაკრავათ ნუ ვიქნები  
ჩემ თანა-მოქალაქეებთან, რომ მათ  
მოქმედების ნაკლულეფანებაზე ვლა-  
პარაკობ. ჩემი მიზანი მხოლოდ ის  
არის, რომ უჩირო მათ, რათა მაშინვე  
გასწორონ და დასთურგონ ყოვე-  
ლივე ნაკლულეფანება მათი ახალი  
საზოგადო საქმისა და არ აცალონ  
მას ღრმად ფესვების გასხმა. მე რომ  
იმათი ცული მინდოდეს, არც გუშინ-  
დელი მათი კრება მოახდენდა ჩემზე  
ცულ შთაბეჭდილებას და არც ამ შე-  
ნიშვნის დაწერისთვის დაეკარგაედი  
დროს. ბანა არ გაუგონათ მათ ხალ-  
ხის სიტყვები: ვინც უკან გეტყვის—  
მტერია, ვინც პირში—მეგობარია“.   
მჭვიანობის და კრიტიკულის თვალთ  
ყოველიფრის დანახვას მიტომ უჩივე  
იმათ, რომ ამ ორმა კაცის გონების  
ძიერფასმა თვისებებმა წასწია წინ ყოვე-  
ლი განათლებული და მდიდარი ქვეყ-  
ნები. ამ ორი თვისებებამ იბადება და  
იწრობა ჭეშმარიტება! ყოველიფრის  
უაფუძვლოდ დაჯერება დამონებამ-  
ლის მიიყვანს კაცს. სამწუხაროდ ჩვენ და,  
ისევეც ცოტათი ვართ გონებით განს-  
ნილი და ახლანდელი მძიმე ცხოვრე-

ნიც კი მოთავენი არიან რომლისავე  
საზოგადო საქმისა ქალაქში თუ პირ-  
ვინციაში...

როგორც ზემოთ მოგახსენეთ,  
ოზურგეთის საზოგადოებას თერთონ  
უგრძენია საქალბო სასწავლებლის  
საჭიროება და კიდევაც მოუგროვებია  
იმის გასახსნელათ 1700 მან., თუმცა  
ეს ფული ამდენი ხანია კერძო პირე-  
ბის ხელში უნაყოფოთ არის. ახლა  
საქმე იმაშია: შეიძლება ამ ფულების  
ერთათ მოგროვება-ლა, თუ არა? რამ-  
დენადაც მე კერძო პირებისაგან გა-  
გებული მაქვს, ათასი მანეთი, რომე-  
ლიც მაზრის უფროსს თ. ღადიანს  
აქვს ჩაბარებული, გადაეცემა იმ პირ-  
თა, რომელნიც ამოიჩეულნი იქნე-  
ბიან სკოლის კომიტეტის წევრებათ.  
რაცა შეეხება იმ 700 მან., რომე-  
ლიც ბ. მანრა მოვს ჰქონია ჩაბარებუ-  
ლი, ნამდვილი ცნობები არა მაქვს  
ამაზედ—მაგონი ისევ იმისავე ხელშია.

არ იქნება ურიგო, რომ ბ. მანრა-  
მოვს (თფილისში სცხოვრობს) თქვე-  
ნისავე გაზეთის შემწეობით შეგვატ-  
ყობინოს—გადასცა ვისმე ის ფული,  
თუ არა და იმედი უნდა ვიქონიოთ,  
რომ საქალბო სასწავლებელს არ  
მიეცემა დაბრკოლება იმის მხრით და  
ამ ქველ საქმეს ხელს არ მოუშლის?  
ამას წინათ ბ. მანრა მოვი ოზურგეთ-  
ში იყო და, მაგონი, თვითონვე უთ-  
ქვამს ზოგიერთი პირებისათვის, რომ,  
თუ კი სასწავლებელი გაიხსნებაო, იმ  
წამსვე გამოგზავნიო. ღიან, დიდი პა-  
ტიოსნება! ღა უფრო სამადლობელი  
საქმე იქმნება, თუ წინათვე გამოგ-  
ზავნის, რომ კაცი თავდარიგს შეუდ-  
გეს ეხლავე.

ასე არის დაყენებული ოზურგეთის  
საქალბო სასწავლებელის საქმე და  
ახლა კი დრო არის მაგონი, რომ კაც-  
მა ყურადღება მიაქციოს იმას და რო-

ბისათვის მომზადებული, და ექვს და  
კრიტიკაც თუ აღარ ვინმარეთ, რაღას  
დაეგმვანებთ? სად რა ესტკვით და  
სად როგორ მოვიქცეთ, ჯერ ისიც  
არ გვისწავლია! სულ რომ არაფერი  
იყოს, თავადმა შალავამ ამ შემთხვე-  
ვაში ამით მაინც მოგიტანათ სარგებ-  
ლობა, რომ, იმედია, გამგობა შემ-  
დევში განუხილველ და შეცდომილე-  
ბიან ანგარიშს აღარ წარმოგიდგენთ;  
იმედია, შემდგომში ბუხგალტერის  
წიგნები იქნება თქვენ ბანკში; იმე-  
დია, ორდერები ხელ-მოწერილი იქ-  
ნება ფულის ბანკილამ წამლებლებისა-  
გან. ნუ თუ ყველა ეს არ არიან სა-  
კირო? ნამეტანმა სიფთხილემ სხვას  
ვის ატკინა თავი, რომ თქვენ გატკი-  
ნოს? აი რატომ არის საჭირო, რომ  
თქვენ აღიჭურვოთ სამოქალაქო მა-  
მაცობით და თქვენის საკუთარის თვა-  
ლებით დაინახოთ ყველაფერი საზო-  
გადო საქმეში, როგორც თქვენ სა-  
კუთარ შინაურ საქმეებში.

ალექსანდრე ფიფისაშვილი.

4 მისის, ქ. ქუთაისი.

გორგე სისრულეში მოიყვანოს. რამდენიც აღრე მიხდება ახალი კომიტეტის შედგენა, იმდენი უფრო სასურველი იქნება, რადგანაც შეიძლება სექტემბრამდინ ფულსაც ჯეროვანი დანიშნულება მიეცეს და საქალბო სასწავლებელსაც მსელელობა. ამასთანავე სასიამოვნო ის არის, რომ მომავალ საქალბო სასწავლებლის საშუალებების მხრით არაერთი დაბრკოლება არ ექნება, რადგანაც თვით ჩვენი ქალაქის საზოგადოება გრძნობს მის აუცილებელ საჭიროებას და წყაროებსაც ურჩენს.

აპრილის 2 ამ მომავალი საქალბო სასწავლებლის სასარკებლოთ ქართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილ იქნა თ. ბ: მრისთვის კომედია „ზაყრა“ და ბ. აბაშიძის ვოდველი „წვლილი თუ გინდა, ეს არის.“

სცენის გამართვამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურ საზოგადოებაზედ, რომ დიდი და პატარა იმას-ლალაპარაკობენ — როდის იქნება კიდევ ისეთი სიამოვნება ნახონ, როგორც იმ წარმოდგენის საღამოს. მართლაცა და მოსაფიქრებელი არ იყო, თუ ამდენი ხალხი შეიკრიბებოდა წარმოდგენაზედ. მთლათ დიდი ზალა, რომელშიაც 140 სკამი იდგა და 50 ფეხზედ სადგომი ადგილი იყო დარჩენილი, სულ გაივსო. ბევრი სოფლებიდან ჩამოსული ქალი და კაცი, სამწუხაროდ, ადგილის უქონლობის გამო, იძულებულნი იყვნენ ისევ უკანვე დაბრუნებულიყვნენ.

სოტა არა, რომ თეატრმა სულ სხვა სალაპარაკო საგანი ამოუჩინა აქაურ საზოგადოებას, რომელსაც, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს კაცების ქლევებაზედ მეტი სალაპარაკო აღარა ჰქონდათ. მხლა მზურგეთში საკუთარი სცენა დაგვიჩა და უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ სცენის მოყვარე პირნი, რომელთაც ისრე ჩინებულად აასრულეს თავიანთი როლები, შემდგომისათვისაც მზათ იქნებიან ქველი საქმისთვის უსაცხილო შრომა და მეცადინეობა გასწიონ. ბულითად მადლობას უძღენი ქ. მ. შავარდნიანიას, საბაშვილისას და შ. შიქიძისას და აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენაში.

აი ანგარიშიც ამ წარმოდგენის შემოსავალ-გასავლისა:

ზაყიდულის ბილეთებიდან შესდგომოდათ 160 მან. და 80 კაპ. ღაიხარჯა: 22 შირმაში, სცენის წინ ასახდელ დიდ ალის ფერ შალის ფარდაში და მეორე დიდი ჩითის ფარდაში, პოლის ფიცრებში შპალიერის მაგიერათ შირიმში, ფანჯრების და კარების გასაკრავ ჩითებში, სახლის ქირაში, მუზიკაში და სხვა-და-სხვა-ფერ ბენგალის ცეცხლებში და სცენის დადგმაზედ და მოშლაზედ წვრილი ხარჯები თურთ — 105 მან. და 32 კაპ. ხარჯ გარეთ წმინდა შემოსავალი დარჩა 55 მან. და 48 კაპ., რომელიც

სცენის მოყვარე პირთაგანი გადმცემული მაქვს მე მომავალი საქალბო სასწავლებლისთვის. ეს ფული ამ სოტა ხანშივე ვადეცემა სასარგებლოთ ბახვის შემნახველო, გამსესხებელ ამხანაგობას.

ამის შემდეგ იმედია, რომ, რაკ სცენა ახლა მზათა გვაქვს, გასავალი ხარჯი მცირედი იქნება და ფული წარმოდგენადან ბლომთ დარჩება, რომელიც მომხმარდება ისევე ისე საზოგადოებას.

მ. ილერიძე.

## განცხადებანი

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში ისყიდება ვაზის ვაჭადმუფოების „ნაცარის“ წამალი

## გოგირდი

ფასი, ფუთი — 2 მან. და 50 კაპ. აქვე ისყიდება აგრეთვე სასურველები ამ გოგირდის ვაზზე მოსაყრელად, თითო თითო მანეთად. (7—1)

### ისპილება

თფილისის საადგილ-მაჟულო ბანკის გარანჯობის ფუნდები (სოფლის მამულებისა) სამის ათასის მანეთის 12% დაკლებით.

მაურველს შეუძლიან იკითხონ „აღლანის“ ღვინის სარდაფში, სოლოლაკის ქუჩაზე, მრბელის სახლში. იქვე ეჭირებათ მზარეული. (3—1)

ბრიტუროვის წიგნის მალაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუქნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებამოცემა:

წითელი ფაჩანი, ფასი 15 კ.  
საცაურა — — — 10 კ.

ღაიბეჭდა და ისყიდება

**ქაქაბაძის შვილის**  
მოთხრობა,  
მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდან ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო პობალაძესთან.

ნაფიცვი ვეკილი  
ალექსანდრე მირიანის-ძე

## ჭყონია

მიიღებს ეველას სასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: აშთაიში, სილახზე, მ. ჭყონიას სახლში. (5—5)

ღაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკიანის ქართული წიგნის მალაზიაში

### თამარ დედოფალი

შედგენილი  
ქ. ბ — შვილისაგან  
გამოცემა

### ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

ღაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკიანის ქართული წიგნის მალაზიაში

### მამული

### საერთო მფლობელობაზე

თხზულება  
ანტონ შურცელაძისა  
გამოცემული  
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

გიორგი ნ. ძის იოსელიანის და ბ. რამოსლის პანსიონში იღებენ ზაფხულის თვეებში ყმაწვილებს მოსამზადებლად სამხ. დრო და სამოქალაქო გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში, საოსტატო ინსტიტუტში და სხე.

მიხაილოვის ქუჩა სახლის № 81  
(2—2)

### იურიდიული კაბინეტი

### იურიდიული ბიბლიოტეკით

ღარსდა ბოლოვინის პროსპექტზე არხიტექტორის ბელოვის სახლში ძელებრის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდის.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—26)

### ექიმი შტეებორსკი

მიიღებს ვენერიულ და ხორცის კანის ავთამყოფებს მუდამ დღე დილის 9 საათიდან 11 საათამდინ და საღამოს 4 საათიდან 11 საათამდინ. ღარიბებს მიიღებს მუქთად.

ადრესი: სოლოლაკი ხადოვის ქუჩა, სახლის № 50. (15—8)

ღაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება

### თფილისის წიგნის მალაზიაში

### იზამ-არაქანი

ჭილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდან გალექსილი თ. რ. ერასთვისა.

ინგლისის მალაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე

სხვაგან. იქვე იხილება: ზარკისა კაპ. დაწყებული; სტაქენი; ბაკო 10 კაპ — დამი; პალესისებ; მურაბა და ალბომები ნახვეარ ფასი და სხე. (100—84)

წერა - კითხვის გამავრცელებლო საზოგადოების მმართველობა აცხადებს, რომ მისგან დაარსებულ ბათუმის სკოლაში გაიხსნება მასწავლებლების ეკანცია თიბათილამ. მასაც სურს ეს ადგილი დაიჭიროს შეუძლიან წარმოადგინოს თხოვნა საზოგადოების სამწერლოში, (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, № 9.) (5—4)

### ისპილება

თფილისის წიგნის მალაზიაში ლალ-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

Грузинскія крестьянскія грамоты и судебные акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особъ. (Материалы для истории древней Грузии).

сост. Д. П. Пурцеладзе.

მუთაისში ისყიდება შილოდგობა მალაზიაში.

### ფასი ერთი მანეთი

სურამის და ხაშურის სტანციებში ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კონფისის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზიძისაგან. (15—14)

### ტაქსია

საკვებაზე ხორაგველებათა, რომელნი იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ეყენებში და დატარებთ 1 მასისა და 15 მასისამდის.

ზამომცხვარი პური: ხორბლის თქვილი

პირველის ხარისხის — 1 გირ. 6  
მეორის " — 1 გირ. 4  
მესამის " — 1 გირ.

იმავე თქვილი. თორნეში გამოცხვარი

პირველის ხარისხის — 1 გირ. 6  
მეორის " — 1 გირ. 4  
მესამის " — 1 გირ.

### ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 7  
მეორის " " — 1 გირ. 5  
მესამის " " — 1 გირ. 5

### ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის — 1 გირ. 11  
მეორის " — 1 გირ. 9  
სუკი — — — 1 გირ. 16  
სხერის ხორცი — 1 გირ. 12

### ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის — 1 გირ. —  
მეორის " — 1 გირ. —

### ახლად ჩამოსული

## ბუბია-ქალი

აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის საზოგადოებრივი მოღვაწისაგან რამოდენიმე მოწოდებები თავის ხელობისა, — მიიღო ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს ამათვის დაზადებული ოთახები.

ადრესი: ელისავეტინის ქუჩა, სახლი 60. ბებია-ქალი დობროღვევა — აბაშიძისა.

(24—21)